

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სოფიო ვაჩაძე

საქართველოს თანამედროვე საჯარო მმართველობის სისტემების
ეფექტიანობის ამაღლების მენეჯერული პრინციპების დამუშავება

სადოქტორო პროგრამა - საჯარო მმართველობა

შიფრო 1109

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი შოთა დოლონაძე

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის “-----” -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე.

კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: 0175 თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატის ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

ასოც.პროფესორი: /ლ.ბერიკაშვილი/

Abstract

Successful implementation of public governance reform is important for integration into the European and Euro-Atlantic sectors, what is envisaged by the Association Agreement between Georgia and the European Union. The goal of implementing the reform is to initiate regulations that facilitate efficient functioning of state government, also, establishment of a modern structure of state management system.

The efficiency and quality of public administration is a key condition for successful development of the country. In general, the inefficiency of public governance is the result of deteriorating business atmosphere, state and public relations in the country and slowing development of effective state institutions. The main vector of our research was directed towards the level of efficiency and effectiveness of state governance. The author is primarily aimed to identify the factors acting on the efficiency of implementation of state governance, to identify the root problems of the effectiveness in growth and to set the ways of their solution, as well as the development of methodological approaches of state governance systems, the use of innovative methods.

Therefore, in the dissertation thesis is offered as an innovation, to take into account the intangible news in planning the state governance technologies, which are discussed in the norm aimed at raising the efficiency of the state governance system. In addition innovation is also considered as a necessary condition for increasing efficiency of state governance. In our view, a significant feature of the efficiency of state governance on the modern terms is the active role of management forms and management methods for organizational structures. As all organizational tasks, designing innovative management communications processes consists of three stages: Formation of communication problem; Finding the options of decision;

Managing Communication Decision Making .

The formation of innovative model is carried out at the first stage of designing the organizational structure of the management system or in any case of changes in it with new innovative programs. Information loss analysis and calculation of information needs are measured at all hierarchical levels and all structural units of the state governance system.

From here onwards, as an innovative activity in the state management system, we understand that the activity aimed at the use of research and development is organizational, Economic and governing technologies that facilitate the overall efficiency of the entire system management system and the quality of its assessment, In this regard, we offer our own class management of management innovations as management and management methods and models to assess efficiency of state governance, including: A) Management of technological innovations connected with the use of the new system of data management system data; B) Organized-management innovations related to the organization of the state management process; C) Information and management related to the

efficiency of information management rationalization in the state governance system and in the process of obtaining information.

Such classification will make it more clear to the structure of management, Additionally, in terms of innovation in the state governance system, proposals are proposed as new and relatively newly recognized procedures, Or a new combination that create a new general technological scheme of the government mechanism. At the same time, the state management efficiency assessment system should be considered as an object of innovative activity. In the theory and practice of state management, certain methods have been developed, comprising three levels of government that are organically linked.

The first level ensures management relations between public service subjects. These relationships organize professional areas - economic, social, demographic, ecological and other vital processes.

The second level provides governing relations between the legislative and normative frameworks that determine the functioning of the state governing system in this socio-economic system.

Finally, the third level is political, which determines the state authority and the government's mission and the purpose of which is to achieve state management. The policy relationship aims at developing and forming socially and economically acceptable forms of government organizational structure that is adequate at this stage.

The Dissertation Survey states that current models of state governments do not respond to the innovative type of social-economic systems development anymore. Based on this on the work model will be added to the fourth level management model, to be exact, the model of information and analytics. All this gives us the right to conclude that organizational structure of state management in the unified information-analytical system can be the basis and condition of the formation and realization of the innovation approach in the development of state management system and its effectiveness.

Furthermore, in the process of elaboration of methodical effectiveness of state management, the innovative tool for enhancing its efficiency is the indicator of threats and risks of socio-economic development - the use of the "predecessor" system, which have a preventive nature, and the peak of the hypothetical pyramid is an integral indicator that characterizes the general purpose of the state management system.

The work presents the method of assessing the efficiency of the proposed state management, which enables the creation of a list of potential threats to the development of economic imbalances, the list of "predecessors"; Build a tree of informative connections to indicators for the assessment of the quality of management decisions; Develop a low-level indicator factor analysis; Implement monitoring and monitoring trends. Situational models should be used in the state management system and, first of all, when making anti-crisis management decisions.

Consequently, the use of innovative management technologies allows the creation of a set of management solutions that correspond to the level of the alarm-signal alarm signal and which should make up the knowledge base for

forecasting models, mechanisms, regulations, etc. As the best samples of world practice show, this base of management decisions affects strategic planning not only in crisis situations but in the use of "managerial" management technologies which are based on the ever-modified indicator- "predecessor" system and adaptive measures The plate system.

The work provides practical application in forming functional and institutional analyzes of state governance authority, as well as assessing regional municipalities and government regional governments, increasing the efficiency of their functioning and increasing the effectiveness of those employed in these authority.

ნამუშევარის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო თემის აქტუალობა. თემის აქტუალობას განაპირობებს ის, რომ საქართველოში მიმდინარეობს საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმის ახალი ტალღა, რომელიც გამომდინარეობს იმ პრინციპიდან რაც განსაზღვრულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით. ამოცანა ნათელია - უნდა ჩამოყალიბდეს გამჭვირვალე, ეფექტიანი და პარტიული ზეგავლენისაგან თავისუფალი საჯარო სამსახური, რომელიც უპასუხებს მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს და გადაწყვეტს საზოგადოების წინაშე მდგარ ამოცანებსა და გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის ფარგლებში გასატარებელია მნიშვნელოვანი ღონისიებები სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის უფლებამოსილებების ოპტიმალურად გადანაწილებისა და ახალი პრინციპებით ჩამოყალიბებისათვის.

აუცილებელია თანამედროვე პირობებისა და ვითარებების შესაბამისი მმართველობითი სისტემების ჩამოყალიბება და მათი ეფექტიანობის პერმანენტულად ზრდაზე ზრუნვა.

საჯარო მმართველობის სისტემაში მოსამდბნი და დასანერგია ახალი, ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ზუსტად უპასუხებს დროის მოთხოვნებს, საჯარო მმართველობას გახდის უფრო ღიასა და გამჭვირვალეს, დანერგავს საზოგადოების ფართო მონაწილეობის პრაქტიკას.

თუმცა, სახელმწიფო მმართველობის სისტემის ინოვაციურ განვითარებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი რჩება პრობლემატურად. მაგალითად, სახელმწიფო მართვის ეფექტურობის შეფასება ხშირად ხორციელდება სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ფორმებისა და მეთოდების ტრადიციული პრიორიტეტის გათვალისწინებით, რომელიც მიმართულია ტიპური პრობლემების გადაწყვეტაზე, ინოვაციური არასტანდარტული მეთოდები კი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ მისი ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლებას.

პრობლემის დამუშავების ხარისხი. სახელმწიფო მართველობის თეორიის სრულყოფის საკითხები დამუშავებულია არა ერთი უცხოელი მკვლევარის მიერ, რომელთა შორის არიან: მ.კეინსი, გ. საიმონი, ლ.ურვიკი, პ.კაპლანი, დ.ნორტონი, დ.ოსბორი, მ.ფრიდმენი, მ.ხამმერი, პ.ნელსონი და სხვა.

სახელმწიფო მართველობის შიდა სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირების მეთოდოლოგიური მიდგომების განვითარება წარმოდგენილია ნაშრომებში რომელიც შეიმუშავეს მეცნიერებმა: ა.ბირმანი, ი.იაკუნინა, ვ.ატამიჩუკი ასევე, გარკვეული მოცულობით საჯარო მმართველობის აქტუალური პრობლემები გამოკვლეული აქვს ქართველ მეცნიერებსაც. ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა არაერთი კვლევა, მონოგრაფიული ნაშრომი, სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელიც ყურადსაღებია და მნიშვნელოვან სიახლეს შეიცავს. უკანასკნელ წლებში დაცული იქნა ათეულობით დისერტაცია საჯარო მმართველობის საკითხებზე, მათ შორის დიდი ნაწილი ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში მიმოხილული გვაქვს ეს ნაშრომები, თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ, რომ საჯარო მმართველობის პრობლემატიკაზე არსებული სამეცნიერო მასალა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ინოვაციური მიდგომების შესახებ პრაქტიკულად არ არსებობს კვლევა, რომელიც შეაფასებს ინოვაციური მიდგომების გავლენას სოციალურ-ეკონომიკური

სისტემების ჩამოყალიბებასა და განვითარების პროცესზე. ჯერ კიდევ სათანადო დონეზე გასააზრებელია სისტემის ეფექტურობის შეფასების პრობლემა. არ არის დამუშავებული სათანადო ინდიკატორები, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მეცნიერული ანალიზი და კვლევა საჭირო მიმართულებით წარმართულიყო.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეფასებულ იქნეს სახელმწიფო მართვის, ზოგადად საჯარო მმართველობის მეთოდური საფუძვლები, მთლიანად ამ სისტემის ეფექტიანობა ინოვაციური მოდელებისა და მეთოდიკის საფუძველზე.

სადისერტაციო კვლევის მიზნის მიღწევა მოიცავს შემდეგ ამოცანებს:

- დამუშავდეს მმართველობითი პროცესის ინოვაციური მოდელები და საჯარო მმართველობის ეფექტიანობის შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები;

გაანალიზდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამთავრობო პროექტების განხორციელების პროცესი;

- სახელმწიფო მართველობის არსებული მოდელების შესწავლის შედეგად განისაზღვროს ისეთი მოდელი, რომელიც ყველაზე მგრძობიარეა ინოვაციურ მართველობის ტექნოლოგიებთან მიმართებაში.

- გაანალიზებული იქნეს სახელმწიფო მმართველობის სისტემებისა და ტექნოლოგიების შეფასების არსებული მეთოდიკა, რამდენად შეესაბამება იგი სახელმწიფო მმართველობის ინოვაციურ ტიპს და ჩამოყალიბდეს საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული მეთოდიკა;

- დაამუშავდეს სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის შეფასების მეთოდიკა ინდიკატორების გამოყენებით. ინდიკატორული დაგეგმარების სისტემაში ინოვაციური განვითარების პროცესში მართვის მოდელის კორექტირებისთვის.

- შემოთავაზებული მეთოდიკის საფუძველზე განისაზღვროს ინოვაციური განვითარება სახელმწიფო მართველობის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტარიზაცია და ამ შეფასებისთვის საკმარისი ინდიკატორების შექმნა;

კვლევის ობიექტია საჯარო მმართველობის სისტემა, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საერთო ერთობლიობის საქმიანობით.

კვლევის საგანია სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეფექტურობის შეფასების ინოვაციური მეთოდების მოდელირება.

სადისერტაციო თეორიული და მეთოდური საფუძვლად გამოყენებული იყო მართვის თეორიის პრინციპები, სისტემური და ეკონომიკური ანალიზის მეთოდები, სტრუქტურულ-დინამიკურ ანალიზი, ეკონომიკური მოდელირებისა და ექსპერტის შეფასების მეთოდები, ასევე უცხოელი და სამამულო სამეცნიერო და პრაქტიკულ პუბლიკაციები მართვის ტექნოლოგიების ინფორმმატიზაციის, სახელმწიფო მმართველობის შეფასების მოდელირების პარამეტრები, ასევე მისი გავლენა სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეფექტიანობაზე.

კვლევის საინფორმაციო ბაზისად გამოყენებული დირექტიული და ნორმატიული მასალები საქართველოს მთავრობის, სამინისტროების, საქართველოში არსებული სუბიექტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გადაწყვეტილებები, სტატისტიკის სამსახურის სტატისტიკური მასალები, სოციოლოგიური და ანალიტიკური მასალები, ექსპერტთა შეფასებები და უცხოური საინფორმაციო წყაროები.

დისერტაციის სამეცნიერო სიახლე შედგება თეორიული ხასიათის მიდგომებისა და მოდელის იდეების დაზუსტებაში, ასევე საჯარო მმართველობის ეფექტურობის შეფასების ინოვაციური მეთოდების შემუშავებაში და დამტკიცებაში.

სადისერტაციო ნამუშევრის ფარგლებში მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც ასევე, განსაზღვრავენ მის სამეცნიერო სიახლეს:

- შემუშავებული იქნა მმართველობითი ინოვაციების კვლევის თეორიული და მეთოდური საფუძვლები სახელმწიფო მმართველობის შეფასების სისტემაში. მოცემულია ავტორის განმარტება ისეთი ცნებების, როგორც არის "ინდიკატორების წინამორბედები", "შეფასების ინოვაციური მოდელი", "ინოვაციები მმართველობის მოღვაწეობაში", "ინოვაციური პროცესი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში";

- სახელმწიფო მართველობის მოქმედ მოდელს დაემატა ინფორმაციისა და ანალიტიკური კომპონენტი, რომელმაც მოგვცა საშუალება ოთხ კომპონენტის მართვის მოდელის შექმნისა, ეს მეთოდი მგრძობიარეა ინოვაციური მმართველობის ტექნოლოგიებისადმი.

- შემუშავებულია სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობისათვის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა გამოყენებული მელოდებისგან განსხვავებით შედგენილია დაბალანსებული მონაცემების სისტემის საფუძველზე და გვადლევს საშუალებას მივიღოთ მხედველობაში სოციალური პარამეტრები, რამდენადაც სისტემის განვითარება მგრძობიარეა ახალი ინოვაციების მიმართ;

ჩამოყალიბდა სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეფექტურობის შეფასების ინოვაციური ინსტრუმენტები: შეფასების ინდიკატორების კომპლექსი. განისაზღვრა "ინდიკატორების წინამორბედების" გამოყენების მეთოდოლოგია, შეიქმნა ფაქტორული ანალიზის ფუნქციური ურთიერთობების გრაფა და დამუშავდა მისი გამოყენება.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიული მნიშვნელობა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ დისერტაციაში არსებული ძირითადი თეორიული პრინციპები კონკრეტულია და გამყარებულია შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მმართველობის სისტემის მეთოდების შეფასების და გაუმჯობესების დროს. პრაქტიკული მნიშვნელობა იმასში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო მმართველობის სისტემის შეფასების განვითარებული ინოვაციური მოდელი უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების ხარისხის შეფასების პრაქტიკულ ინსტრუმენტარებს და ადექვატური მაკორექტირებელი მართვის გადაწყვეტილებების მიღებას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების კონკრეტული ორგანოს დონეზე, ასევე რეგიონალურ დონეზე. ამდენად, სადისერტაციო კვლევა ატარებს თეორიულ და გამოყენებით სახიათს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: მოცემული დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე აკრეფილ 134 გვერდს. მისი ტექსტი შედგება: შესავალის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის, 10 ქვეთავის,

დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის შინაარსი შემდეგია:

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1. თეორიული მიდგომები და მეთოდური საფუძვლები სახელმწიფო მართვის სისტემისა და ტექნოლოგიების ეფექტურობის შეფასებისათვის

1.1 მენეჯმენტი სახელმწიფო მართვაში

1.2 სახელმწიფო მართვის, როგორც კვლევის ობიექტის ეფექტურობის შეფასების სისტემები და ფორმები

1.3 მმართველობითი ინოვაციები, როგორც სახელმწიფო მართვის ეფექტურობის ზრდის ფაქტორი

1.4 მეთოდოლოგიური მიდგომა სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემის აგების პრინციპების ფორმირებისადმი

თავი 2. სახელმწიფო მართვის სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის აგებისა და შეფასების სპეციფიკა ერთიან ინფორმაციულ სივრცეში

2.1. სახელმწიფო მართვის სისტემის თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები

2.2. სახელმწიფო მართვის სისტემის მართულობის ორგანიზაციული და ეკონომიკური ნიშნები

2.3. ინფორმაციული კომუნიკაციები სახელმწიფო მართვის ტექნოლოგიების სისტემაში

თავი 3. სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ინოვაციური ცვლილებების შეფასების სისტემის მოდელირება

3.1. მეთოდური მიდგომები სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის შეფასების ინდიკატორების სისტემის ფორმირების მიმართ

3.2. სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ეფექტურობის შეფასების ინოვაციური ინსტრუმენტარიუმი

3.3. სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეფექტურობის შეფასების

მეთოდის ინდიკატორ - მომასწავებლების გამოყენების საფუძველზე
დასკვნები
გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველ თავში განხილულია მენეჯმენტი სახელმწიფო მმართველაში, თეორიული მიდგომები და მეთოდური საფუძველები სახელმწიფო მართველობის სისტემებისა და ტექნოლოგიების ეფექტურობის შეფასებისთვის. გახსნილია სახელმწიფო მართველობის როლი და ადგილი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, განიხილება საქართველოში და უცხო ქვეყნებში სახელმწიფო მართველობის მოდელები და მართველობის სპეციფიკა. მოცემულია სახელმწიფო მმართველობის სისტემების ეფექტურობის შეფასების ფორმებისა და მეთოდების, სახელმწიფო მმართველობის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების, როგორც ეფექტურობის გაზრდის ფაქტორის ანალიზი.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია, სისტემის შედგენის და შეფასების სპეციფიკა ერთიან საინფორმაციო დარგში. გაანალიზდა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაში ინოვაციების საფუძველზე, მართველობის ორგანიზაციული და ეკონომიკური თვისებები ერთიან ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში, საინფორმაციო კომუნიკაციების როლი სახელმწიფო მართველობის ინოვაციური ტექნოლოგიებში.

ნაშრომის მესამე თავში ნაჩვენებია სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეფექტურობის შეფასების ინოვაციური მოდელები. შეჯამებულია შეფასების ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბების მეთოდური მიდგომები სახელმწიფო მართველობის ეფექტურობის შეფასების ფორმირებაში, სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის შეფასების ინოვაციური ინსტრუმენტები. წარმოდგენილია სახელმწიფო

მმართველობის სისტემის ეფექტურობის შეფასებისთვის საავტორო მეთოდის "წინამორბედების" ინდიკატორების გამოყენების საფუძველზე.

დასასრულში ფორმულირდება სადისერტაციო ნამუშევრის ძირითადი დასკვნები და შედეგები .

დაცვაზე გატანილი ძირითადი დებულებები და კვლევების შედეგები

1. ჩამოყალიბდა თეორიული და მეთოდური საფუძვლები, სახელმწიფო მმართველობის ინოვაციური შეფასების სისტემა, შემუშავდა ინოვაციური მართველობითი მოდელი.

როგორც კვლევამ აჩვენა, მართველობითი ინოვაციებს შეუძლიათ არა მარტო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ განვითარებაში, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ტექნოლოგიური ინოვაციების ფორმირებაზე, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას.

აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია ინოვაციის სახით სახელმწიფო მმართველობის ტექნოლოგიების სისტემაში მიიღონ მხედველობაში არამატერიალური სიახლეები, რომლებიც განხილულია ნორმაში, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო მმართველობის სისტემის ეფექტურობის ამაღლებას. ამასთან განხილულია ინოვაცია, როგორც აუცილებელი პირობა სახელმწიფო მართველობის ეფექტობის სისტემის ამაღლებისთვის. ჩვენი თვალსაზრისით თანამედროვე ეპატზე სახელმწიფო მართველობის ეფექტურობის სისტემის მნიშვნელოვანი თავისებურება არის მართვის ფორმებისა და მენეჯმენტის მეთოდების აქტიური როლი ორგანიზაციული სტრუქტურებისათვის.

როგორც ყველა საორგანიზაციო ამოცანა, ინოვაციური მართველობითი საკომუნიკაციო პროცესების პროექტირება შედგება სამი ეტაპისაგან:

- საკომუნიკაციო პრობლემის ფორმირება;
- მისი გადაწყვეტილების ვარიანტების პოვნა;
- მმართველობითი საკომუნიკაციო გადაწყვეტილების მიღება.

ინოვაციური მოდელის ფორმირება ხორციელდება მართვის სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტირების პირველ ეტაპზე ან მასში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში ახალი ინოვაციური

პროგრამებით. ინფორმაციული დანაკარგების ანალიზი და ინფორმაციული საჭიროებების გაანგარიშება ხდება ყველა იერარქიულ დონეზე და სახელმწიფო მართველობის სისტემის ყველა სტრუქტურულ ერთეულში.

ესე იგი, თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგიური მიდგომები სახელმწიფო მმართველობის ტექნოლოგიის და ეფექტურობის შეფასების სისტემის მიმართ უნდა იყოს დამფუძნებელი იმის საფუძველზე, რომ სახელმწიფო მმართველობის შეფასების სისტემაში ინოვაცია წარადგენს საბოლოო შედეგს, რომელმაც მიიღო რეალიზაცია გაუმჯობესებული მართველობის შემადგენლობის სახით, სახელმწიფო მართველობის სისტემის ფუნქციონირების პროცესში.

წარმოებაში ტექნოლოგიური ინოვაციებისგან განსხვავებით, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში მართველობითი ინოვაციები ხასიათდება დაბალი ხარისხის პროგნოზირებადობით, განსაზღვრით და ეფექტურობით. ამავდროულად ნაშრომში აღნიშნულია, რომ ინოვაციების მართვის პროცესი სახელმწიფო მართველობის სისტემაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინოვაციების ორგანიზაციული, ეკონომიკური, საკანონმდებლო და მართველობითი ცოდნის გარდაქმნის პროცესად, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს თანმიმდევრული მართველობითი გადაწყვეტილებების ჯაჭვს, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო მართველობის სისტემის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესობაზე.

გამომდინარე აქედან, სახელმწიფო მართვის სისტემაში ინოვაციური მოღვაწეობის სახით, ჩვენ გვესმის, რომ მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია კვლევისა და განვითარების შედეგების გამოყენებაზე ორგანიზაციული, ეკონომიკური და მმართველობითი ტექნოლოგიების გაუმჯობესებისთვის, რაც ხელს უწყობს ზოგადად სახელმწიფო მართვის მთელი სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობას და მისი შეფასების ხარისხს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვთავაზობთ მმართველობის ინოვაციების საკუთარ კლასიფიკაციას, როგორც მართვისა და მართვის მეთოდებს და მოდელებს და სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის შეფასებას, რომელშიც შედის:

ა) მმართველობითი-ტექნოლოგიური ინოვაციები, დაკავშირებულნი სახელმწიფო მართველობის სისტემის შეფასების მონაცემების ახალი სისტემის გამოყენებით;

ბ) ორგანიზებულ-მმართველობითი ინოვაციები, რომლებიც დაკავშირებულია ოპტიმალურად სახელმწიფო მმართველობის პროცესის ორგანიზაციასთან;

გ) ინფორმაციული, მმართველობითი, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობის სისტემაში საინფორმაციო დინების რაციონალიზაციის ამოცანის გადაწყვეტასთან, უტყუარობის ამაღლების და ინფორმაციის მიღების ოპერატიულობაში.

ასეთი კლასიფიკაცია, ჩვენი თვალსაზრისით, უფრო ნათლად მოახდენს მმართველობის მოღვაწეობის სტრუქტურირებას. . გარდა ამისა, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ინოვაციის თვალსაზრისით ჩვენ ვთავაზობთ წინადადებებს, როგორც ახალს და შედარებით ახალ ცნობილ პროცედურებს, ან მათ ახალ კომბინაციას, რომლებიც ქმნიან სამთავრობო მექანიზმის ახალ ზოგად ტექნოლოგიურ სქემას. ამავედროულად, სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის შეფასების სისტემა უნდა განიხილებოდეს, როგორც ინოვაციური მოღვაწეობის ობიექტი. თუმცა, შეუძლებელია მისი ეფექტიანობის კრიტერიუმის სახით გამოყენება მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლებით, რაც გაზრდის ინოვაციური მართვის მოდელის შექმნის ხარჯებს მისი განხორციელების შედეგად მიღებულ ეკონომიკურ ეფექტთან, რადგან სოციალური ეფექტი, როგორც მთლიანი სახელმწიფო სისტემის მთავარი მიზანი, მნიშვნელოვნად შეამცირებს ეკონომიკურ შეფასებას. ამავედროულად, საინფორმაციო სისტემის ხარისხი, მისი სისრულე, ეფექტურობა და მოქნილობა სხვა ეკონომიკური სისტემებისგან განსხვავებით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე მთლიანად.

2. სახელმწიფო მმართველობის მოქმედ მოდელს დაფუძნებულ საინფორმაციო და ანალიტიკური კომპონენტი, რამაც შესაძლებელი გახადა ოთხკომპონენტის მართვის მოდელის ფორმირება, რომელიც მგრძობიარეა ინოვაციური მართველობის ტექნოლოგიებისადმი.

სახელმწიფო მართველობის თეორიასა და პრაქტიკაში შემუშავდა გარკვეული მეთოდოლოგია, რომელიც შედგება მთავრობის სამი დონისგან რომლებიც ორგანულად ურთიერთდაკავშირებულია.

პირველი დონე უზრუნველყოფს მმართველ ურთიერთობებს საჯარო სამსახურის სუბიექტებს შორის. ეს ურთიერთობები ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სფეროს - ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელოვანი პროცესებთან .

მეორე დონე უზრუნველყოფს მმართველ ურთიერთობებს საკანონმდებლო და ნორმატიულ ჩარჩოების შორის, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო მართველობის სისტემის ფუნქციონირებას ამ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში.

საბოლოო ჯამში, მესამე დონე პოლიტიკურია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და ხელისუფლების მისიას და მიზანს, რომლის მიღწევისთვის აშენებულია სახელმწიფო მართველობა. პოლიტიკის სფეროში მმართველობითი ურთიერთობა მიზნად ისახავს მთავრობის საორგანიზაციო სტრუქტურის სოციალურად და ეკონომიკურად მისაღები ფორმების შემუშავებას და ჩამოყალიბებას, რაც ადეკვატურია ამ ეტაპზე.

სადისერტაციო კვლევაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო მმართველობის მოქმედი მოდელები აღარ პასუხობენ სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განვითარების გადასვლისას ინოვაციურ ტიპს. აქედან გამომდინარე ნამუშევარში შემოთავაზებულია მოქმედ მოდელს დაემატოს მეოთხე დონის მართვის მოდელი კერძოდ, ინფორმაციისა და ანალიტიკის მოდელი (ნახ. 1).

დღეს შეუძლებელია რაიმე ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის საინფორმაციო კონტურში არსებული ურთიერთმოქმედი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობის ინფორმაციული ანალიზის გარეშე. სისტემურ შეცდომას წარმოადგენს მართვის ნებისმიერ სისტემაში ისეთი მნიშვნელოვანი სახის კავშირების შეუფასებლობა, როგორცაა ერთიან საინფორმაციო სივრცეში ფორმირებული საინფორმაციო და

საკომუნიკაციო კავშირები. ეს იმით არის განპირობებული, რომ სახელმწიფო მართვის ორგანო, მისი ქვეგანყოფილებები და ქვესაუწყებო დაწესებულებები წარმოადგენენ ჰარმონიზებულ ერთობლივ ქვესისტემებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო მართვის სისტემის ფუნქციონირების მიზნების ზოგადი სისტემიდან გამომდინარე ფუნქციების განხორციელებასთან. ფუნქციურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ქვესისტემებთან ერთად იგი უნდა შეიცავდეს საინფორმაციო ქვესისტემას, რომელიც სწვდება მართვის ყველა დონეს. ფუნქციური ქვესისტემები წარმოადგენენ პროცესის არსებითი ნაწილის, მისი სტადიების რეალიზაციას; ორგანიზაციულ-ეკონომიკური - წარმოადგენს მათი ფუნქციონირების ფორმას და მართვას, ხოლო ინფორმაციული - პირველ ორს შორის საკომუნიკაციო კავშირების უზრუნველყოფასა და მხარდაჭერას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მთლიანად სახელმწიფო მართვის სისტემისთვის.

ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ სისტემას შეუძლია უზრუნველყოს არა მარტო ნებისმიერი საჭირო ინფორმაციის მიღება ამა თუ იმ სამართავი ობიექტის, დარგის, პარამეტრისა თუ ინდიკატორის, მაჩვენებლისა თუ მათი ერთობლიობის მდგომარეობის შესახებ, არამედ მართვის ინოვაციური ტექნოლოგიების ერთობლიობის გამოყენება, მათი დაბალანსებული განხორციელება ყველა დონეზე.

ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სახელმწიფო მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, გაერთიანებული ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ სისტემაში, შეიძლება იქცეს სახელმწიფო მართვის სისტემის განვითარებაში ინოვაციური მიდგომის ფორმირებისა და რეალიზაციის და მისი ეფექტურობის შეფასების საფუძვლად და პირობად.

3. შემუშავებულია სახელმწიფო მართვის შეფასების საავტორო მეთოდიკა, რომელშიც, გამოყენებული მეთოდებისაგან განსხვავებით აგებულია დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემის საფუძველზე და საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სოციალური პარამეტრები,

სახელმწიფო მართვის სისტემის განვითარების უნარი, ინოვაციისადმი მისი მგრძობელობა.

კვლევის პროცესში დასაბუთებულია, რომ მმართველობითი ზემოქმედების ეფექტურობის შეფასება უნდა განხორციელდეს ობიექტის როგორც მიმდინარე, ისე მოსალოდნელი მდგომარეობის დამახასიათებელი ინდიკატორების სისტემის მეშვეობით. სახელმწიფო მართვის სისტემების ეფექტურობა უნდა შეფასდეს მათ მიერ დასახული მიზნების მიღწევის ხარისხის მიხედვით. ამ ამოცანის გადაწყვეტის სირთულე დაკავშირებულია მართვის სუბიექტისა და ობიექტების საქმიანობის ცალკეული ასპექტების დამახასიათებელი მაჩვენებლების კორელაციის აუცილებლობასთან.

არსებულ პრაქტიკაში გამოიყენება სახელმწიფო მართვის ეკონომიკური ეფექტურობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მთელი რიგი მეთოდებისა. როგორც წესი, შეფასება განისაზღვრება სახელმწიფო მართვის ორგანოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის დამახასიათებელი პარამეტრების ერთობლიობით, რაც არასაკმარისია თავად შეფასების პროცესის ობიექტურობისთვის.

პრობლემის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა ინოვაციური ტექნოლოგიები, კერძოდ, სადისერტაციო გამოკვლევაში წარმოდგენილი დაბალანსებული მაჩვენებლების მეთოდიკა. მოცემული სისტემის ღირსებას წარმოადგენს მისი ჰოლისტიკური მიდგომა ეფექტურობის შეფასებისადმი, რის შედეგადაც ეფექტურობის კრიტერიუმებად გვევლინება არა მარტო ეკონომიკური მაჩვენებლები, არამედ ინდიკატორები, რომლებიც აფასებს სოციალურ პარამეტრებს, სახელმწიფო ორგანიზაციის განვითარების უნარს, მის მგრძობელობას ინოვაციებისადმი. დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემის ფარგლებში სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია მმართველობითი პროცესების კლასიფიცირება ხუთ ძირითად ჯგუფად:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საგნობრივი საქმიანობის მართვის პროცესები;

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, მათ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობის მართვის პროცესები;

- ინოვაციური პროცესები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურის ფარგლებში, მისი ადაპტაციისა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სწრაფად ცვლადი ტენდენციებისადმი.

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცესები;

- სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ინდიკატორებისა და მოდელების სისტემის შექმნასთან დაკავშირებული პროცესები.

ინოვაციური მიდგომა მდგომარეობს თავსებადი მეთოდების მოქნილ კომბინაციაში, სახელმწიფო მართვის ორგანოების ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასებაში იმის მიხედვით, თუ ეფექტურობის რომელი კრიტერიუმები წარმოადგენს უფრო მნიშვნელოვანს, რამდენად ოპერატიულად და რა დანახარჯებით შეიძლება დაინერგოს ეს თუ ის მეთოდიკა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით.

4. შემუშავებულია სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ინოვაციური ინსტრუმენტები: ჩამოყალიბებულია შეფასების ინდიკატორების ერთობლიობა, შემოთავაზებულია წინამორბედი ინდიკატორების გამოყენება,

კვლევის პროცესში დასაბუთებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის სრულყოფაში პრიორიტეტებს უნდა წარმოადგენდეს ახალ მმართველობით ტექნოლოგიებზე ორიენტაცია, აგებული ინოვაციური პროცესების სინქრონიზაციაზე სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე, რაც შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო სამსახურის მიერ მისი სოციალური საინფორმაციო და საკომუნიკაციო დანიშნულების ქმედითი რეალიზაციის პირობებში.

ამასთან, სახელმწიფო-სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელება ერთიან საინფორმაციო სივრცეში იწვევს სახელმწიფო მართვის სისტემაში საერთო ინოვაციური ველის წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ,

უზრუნველყოფს სოციალური და ეკონომიკური ინოვაციური პროცესების დიფერენცირებული მართვის შესაძლებლობას. სახელმწიფო-საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინოვაციური პროცესების საერთო მიმართულება და სინქრონულობა წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დინამიკური და იმავდროულად მდგრადი განვითარების წყაროს.

სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მეთოდის შემუშავების პროცესში გამოვლინდა, რომ მისი ეფექტურობის ამაღლების ინოვაციურ ინსტრუმენტს წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფრთხეებისა და რისკების გაჩენის ინდიკატორ- „წინამორბედების“ სისტემის გამოყენება, რომელთაც აქვთ პრევენციული ხასიათი, ამასთან, ჰიპოთეტური პირამიდის მწვერვალზე განასახიერებს ინტეგრალურ ინდიკატორს, რომელიც ახასიათებს სახელმწიფო მართვის სისტემის ზოგად მიზანს.

ფუნქციური ურთიერთკავშირის გრაფის აგება და გამოყენება საშუალებას იძლევა ჩატარდეს ფაქტორული ანალიზი საგარეო (რეგიონული ეკონომიკისადმი) და შიდა გარემოს ნებისმიერი ცვლილების დროს, შერჩეული ინდიკატორ - „წინამორბედების“ საფუძველზე შეფასდეს შესაძლო საფრთხეებისა და რისკების ხარისხი და თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური და მმართველობითი დისბალანსი, რომელიც იწვევს სახელმწიფო მართვის ეფექტურობის შემცირებას.

ამ საფუძველზე დადგენილია ურთიერთკავშირი მოცემული განვითარების ეკონომიკურ დისბალანსსა და სახელმწიფო მართვის სისტემის დისბალანსს შორის, რომელიც გულისხმობს მართვის ინოვაციური ინსტრუმენტების მოძიებისა და დანერგვის, დაძლევისა და, რაც მთავარია, აღნიშნული დისბალანსის პრევენციის ინოვაციური მმართველობითი ტექნოლოგიების აუცილებლობას.

სახელმწიფო მართვის შემოთავაზებული ინოვაციური მოდელის არსი მდგომარეობს მაჩვენებლების ინფოლოგიური ურთიერთკავშირის მრავალსაფეხურიანი სისტემის აგებასა და ანალიზში. უფრო მაღლა განთავსებულ მაჩვენებელთან მიმართებაში, რომელიც შერჩეულია, როგორც რისკების საფრთხის შეფასების ინდიკატორი. მიუხედავად იმისა,

რომ ასეთი მოდელი ერთი შეხედვით მარტივად გამოიყურება, იგი გარკვეულწილად რთულია სწორედ დაქვემდებარების იერარქიისა და ალგორითმების გაანგარიშების განსაზღვრაში. ამასთან, მსგავსი მიდგომების გამოყენება წარმოადგენს ნებისმიერი დონის ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემის ეფექტურ უნსტრუმენტულ მექანიზმს. აგრეთვე, თითოეული მაჩვენებლისათვის განისაზღვრება საზღვრბლო მაჩვენებლების დერეფანი (უარესი და უკეთესი მაჩვენებელი).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში შემოთავაზებული სახელმწიფო მართვის ეფექტურობის შეფასების მეთოდიკა საშუალებას იძლევა:

- შემუშავდეს ეკონომიკური დისბალანსის წარმოქმნის შესაძლო საფრთხეების ინდიკატორ-„წინამორბედების“ ჩამონათვალი;

- აიგოს მისაღები მმართველობითი გადაწყვეტილებების ხარისხის შეფასებისათვის გამოსაყენებელი ინდიკატორების ინფოლოგიური კავშირების ხე;

- შემუშავდეს დაბალი დონის ინდიკატორების ფაქტორული ანალიზი;

- განხორციელდეს განვითარებადი და საპროგნოზო ტენდენციების ოპერატიული მონიტორინგი.

- გამოყენებული იქნეს სიტუაციური მოდელები სახელმწიფო მართვის სისტემაში და, უპირველეს ყოვლისა, ანტიკრიზისული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

შესაბამისად, მართვის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა შემუშავდეს მმართველობითი გადაწყვეტილებების ნაკრები, რომლებიც შეესაბამება ინდიკატორ-„წინამორბედის“ საგანგაშო სიგნალის დონეს და რომელმაც უნდა შეადგინოს ცოდნის ბაზა საპროგნოზო მოდელების, მექანიზმების, რეგლამენტებისა და ა.შ. სახით. როგორც მსოფლიო პრაქტიკის საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენებს, მმართველობითი გადაწყვეტილებების ასეთი ბაზა არსებით ზემოქმედებას ახდენს სტრატეგიულ დაგეგმვაზე არა მარტო კრიზისულ სიტუაციაში, არამედ „სამტატო“ მმართველობითი ტექნოლოგიების გამოყენების დროს,

რომლებსაც საფუძვლად უდევს მუდმივად მოდიფიცირებადი ინდიკატორ-„წინამორბედების“ სისტემა და წინასწარი ზომების მიღების ადაპტური სისტემა.

ძირითადი დასკვნები

საჯარო მმართველობის მენეჯერული პრინციპების დამუშავების მიზნით ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევით განვსაზღვრეთ, რომ უმთავრესი ამ მიმართულებით საჯარო სამსახურის, სახელმწიფო მართვის ინოვაციური მეთოდების გამოყენება იძლევა მხოლოდ დადებით შედეგებს, ეს ნათლად ჩანს მართვის ეფექტიანობის შეფასებაში და ამ მიმართულებით ჩატარებული ანალიზის შედეგებში.

სახელმწიფო მართვის ეფექტურობის შეფასების სისტემის ფორმირების პრობლემების, მათ შორის საჯარო და მუნიციპალური მმართველობის როლის შესახებ შედარებით რთული და საკამათო საკითხების, ამ სისტემების ეფექტურობის შეფასების თავისებურებების ჩატარებულმა გამოკვლევამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი განზოგადებული დასკვნები.

თანამედროვე პერიოდის ეკონომიკის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფო მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი გართულება, რომელიც გვევლინება ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტაბილური განვითარების ფუნდამენტურ ფაქტორად და საშუალებას იძლევა შედარებით ჰარმონიული ფორმით შეთანხმდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და კერძო კაპიტალის ინტერესები. სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძვლების, თანამედროვე განათლების დონეზე პიროვნების ჩამოყალიბებისა და ყოველმხრივი განვითარების, ხარისხიანი საარსებო გარემოს შექმნის, მეცნიერებისა და მოწინავე ტექნოლოგიების მხარდაჭერის საერთო ეროვნული პრიორიტეტების შემუშავების მნიშვნელობის ზრდის პირობებში ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს თანამედროვე

ინოვაციური მმართველობითი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიო პრაქტიკის საუკეთესო ნიმუშებს.

სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს ქვეყანაში აქვს მკაფიოდ გამოხატული რეგიონული მიმართულება: ახალ პირობებში ყოველმა რეგიონმა უნდა ჩამოაყალიბოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკუთარი პროგრამა, დაეყრდნობა რა არსებულ რესურსულ პოტენციალს, ურთიერთსასარგებლო რეგიონთაშორის გაცვლას და რეგიონული განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ სტრატეგიას. სადისერტაციო კვლევაში წარმოდგენილი სახელმწიფო მართვის მეცნიერულად დამუშავებული და პრაქტიკულად აპრობირებული მოდელები და ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა განისაზღვროს რეგიონული ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრები, მოხდეს მისი განვითარების სავარაუდო სცენარების პროგნოზირება, განისაზღვროს ფორმირებადი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნების სისტემა და მექანიზმები.

სახელმწიფო მართვის ახალი ფორმების შექმნის პრობლემებს წარმოადგენს სახელმწიფო, მუნიციპალური ორგანოებისა და დაწესებულებების მოქმედების ურთიერთკოორდინაციის პრობლემის არასრული გადაჭრა, არასრული საინფორმაციო ბაზა, მართვის სხვადასხვა ასპექტის რეგლამენტაციისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სისტემის შემდგომი დამუშავებისა და სრულყოფის აუცილებლობა. ნაშრომში წარმოდგენილი ინოვაციები მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სისტემაში საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ მართვის პროცესის კოორდინირებულობა, მთლიანობა, სადაც მართვის კონტურში ჩადებულია მიზანი, პროგნოზირება, დაგეგმვა, პროგრამირება, ასევე, კონტროლი გადაწყვეტილებათა შესრულებაზე და მათი რეგულირება.

სახელმწიფო მართვის სისტემაში მმართველობითი გადაწყვეტილებების ვარიანტების მოდელირებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ რეგიონული ეკონომიკური სისტემის ეკონომიკური არასტაბილურობის შესაძლო საფრთხეებისა და რისკების ინდიკატორ-„წინამორბედების“ განსაზღვრა, არამედ მართვის თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენება. მათი გამოყენება უახლოეს მომავალში ოპტიმალურობის (მიზნობრივი ფუნქციების) შერჩეული კრიტერიუმების კუთხით რეგიონის ეკონომიკის საუკეთესო დაბალანსებული მდგომარეობის არჩევის გამარტივებისა და ფორმალიზების და ოპტიმალურ გეგმასთან მაჩვენებლების დაახლოების განხორციელების, ასევე, გარე და შიდა გარემოს სხვადასხვა პირობის ცვლილების დროს სიტუაციის ცვლილების დამახასიათებელი მაჩვენებლების წრის გაანალიზების საშუალებას მოგვცემდა. ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფო მართვაც უნდა იყოს ინოვაციური. ეს ნიშნავს, რომ „ინოვატორები“ უნდა იყვნენ საჯარო მოხელეები და ინოვაციური - მათ მიერ გამოყენებული მართვის ტექნოლოგიები.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო მართვის სისტემის მიზანი მდგომარეობს მისი ეკონომიკური თვითდაკმაყოფილების უზრუნველყოფაში. თვითდაკმაყოფილების დონე განისაზღვრება ეკონომიკური არასტაბილურობის შესაძლო საფრთხეებისა და რისკების ინდიკატორ-„წინამორბედების“ სისტემის საზღვრულ მნიშვნელობასთან მიახლოების ხარისხით.

ნაშრომში ჩატარებულია ფუნქციურად დაკავშირებული მაჩვენებლების ძლიერი და სუსტი კავშირების ანალიზი, დასაბუთებულია ინდიკატორების გამოყენება.

მმართველობითი გადაწყვეტილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების სრულყოფილი მეთოდური ბაზის კომპლექსურ გამოყენებაზე დამყარებული მართვის ტექნოლოგიების ერთობლიობის მოყვანილი სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა ახლებურად მივუდგეთ ინოვაციური მართვის ტექნოლოგიების გამოყენებაზე დამყარებული სახელმწიფო მართვის ახალი ტიპის სისტემების ჩამოყალიბებას.

სადისერტაციო კვლევაში წარმოდგენილი მიდგომები გარკვეულწილად უნივერსალურია და შეიძლება გამოყენებული იქნეს საჯარო მმართველობის სისტემებში.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები:

დისრეტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და მაგისტრების ერთობლივ სხდომზე.

შესრულებული იქნა ორი სასემინარო ნაშრომი და კვლევის შედეგების აპრობაცია განხორციელდა სამ კოლოქვიუმში:

კოლოქვიუმი:

I - საქართველოს საჯარო სამსახურის სიახლეები

II – “საჯარო პერსონალის მმართვეის მექანიზმები ახალი საჯარო მენეჯმენტისა და პროფესიული საჯარო სამსახურის პირობებში”.

III – “საჯარო სამსახურში პოლიტიკის გავლენის, პატრონაჟისა და ნეპოტიზმის პრობლემის კვლევა”

სემინარები:

I - “საქართველოს საგადასახადო სისტემა” შემოსავლების სამსახური

II-“დაქვემდებარებული სტრუქტურებისადმი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები”

სტატიები:

I – “პოლიტიკური მეურვეობისაგან თავისუფალი საჯარო სამსახური” (ევროპული ქვეყნების გამოცდილება). სოფიო ვაჩაძე. სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება” თბილისი N1(49), 2019წ, ტომი II , გვ. 34-40;

II – “მოხელის პროფესიული განვითარება, საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების საფუძვლები”. სოფიო ვაჩაძე. სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება” თბილისი N1(49), 2019წ, ტომი I , გვ. 107-113;

III –“პოლიტიკური პატრონაჟისა და ნეპოტიზმისაგან თავისუფალი საჯარო სამსახური”. სოფიო ვაჩაძე. სამეცნიერო ჟურნალი “ხელისუფლება და საზოგადოება” თბილისი N1(49), 2019წ, ტომი II , გვ. 72-78;

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

I - ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ზელისუფლება და საზოგადოება”, მოხსენების თემა - “საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტიანობის ინდიკატორები თანამედროვე საქართველოში”. საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2017წ. 25 ნოემბერი.

II – საქართველოს პარლამენტარიზმის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “საქართველოს პარლამენტარიზმი - 100”, მოხსენების თემა - “პარტიული ზეწოლისაგან თავისუფალი საჯარო სამსახური”. საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2019წ. 9 მარტი.